გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 32

2020 წლის 13 მარტი

ქ. გორი

„მერების შეთანხმებაზე კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე" გორის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია „მერების შეთანხმების" ქვეყნის ექსპერტი საქართველოსა და აზერბაიჯანში გიორგი აბულაშვილის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანის მიზნით „მერების შეთანხმების" ახალ პერიოდში (2030 წლამდე) გორის მუნიციპალიტეტის ჩართვის შესაძლებლობის, გორის მუნიციპალიტეტის მიერთების ვალდებულების დოკუმენტის და მიერთების ფორმის გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად განხილვა.

კლიმატის ცვლილებას უკვე აქვს ადგილი და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, ამიტომაც საჭიროა გადაუდებელი ქმედება და თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ნაციონალურ მთავრობებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ძირითადი მამოძრავებელი ძალაა გარდამავალი ენერგეტიკის შექმნასა და კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მმართველობის ეს რგოლი მჭიდრო კავშირშია მოქალაქეებთან. სწორედ მოქალაქეები, ადგილობრივ და ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებელნი არიან ქმედებებზე კლიმატის დაცვის სფეროში და მათ აქვთ სურვილი იმოქმედონ სხვა მხარეთა მიერ აღებულ ვალდებულებათაგან დამოუკიდებლად. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ყველა სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში და ნებისმიერ გეოგრაფიულ ზონაში, დგანან ბრძოლის წინა ხაზზე, რათა შეამცირონ და შეაკავონ მათი ტერიტორიების მიმართ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვადასხვა ეფექტი. თუმცა დიდია ძალისხმევა მავნე გამონაბოლქვების შესამცირებლად, ადაპტაცია ჯერ კიდევ საჭირო და აუცილებელი დანამატია კლიმატის ცვლილების [illegible]

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებასა და ადაპტაციას შეუძლია მრავალი უპირატესობის მოტანა გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის. ამ პრობლემათა მოგვარება, ადგილებზე მდგრადი განვითარების ხელშემწყობა ახალ პირობებს ქმნის. ესენია: ინკლუზიური, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი და ენერგოეფექტური საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის ფორმირება; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; ინვესტიციებისა და ინოვაციების სტიმულირება; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის განვითარება.

ენერგიასა და კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემათა ადგილობრივი გადაწყვეტა უზრუნველყოფს უსაფრთხო, მდგრად, კონკურენტუნარიანი და ხელმისაწვდომ ენერგიის წარმოებას თითოეული მოქალაქისათვის, შესაბამისად, ამცირებს მათ ენერგო დამოკიდებულებას და იცავს მომხმარებელთა ყველაზე უმწეო ფენებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტი 2012 წლიდან მიუერთდა „მერების შეთანხმების" ინიციატივას და აიღო ვალდებულება შეემცირებინა ნახშირორჟანგის ემისიები 2020 წლამდე და წვლილი შეეტანა გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2015 წელს ევროკავშირის მიერ გაეროს პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად შემუშავდა „მერების შეთანხმების" ახალი ინიციატივა, რომლის თანახმადაც „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკისთვის" დაემატა შინაარსობრივი ნაწილი (კლიმატის ცვლილების გამომწვევი ფაქტორების შერბილებასთან ერთად დაემატა კლიმატის ცვლილების რისკებისადმი შეგუება და სუფთა ენერგორესურსებზე წვდომის მიზნები) და ახალ სამოქმედო პერიოდად განისაზღვრა დრო 2030 წლამდე.

მერების შეთანხმების პროცესში ჩართულობით მიღებული პირდაპირი თუ ირიბი სარგებლის მიშვნელობიდან გამომდინარე, მერების შეთანხმებასთან მიერთებული საქართველოს 24 მუნიციპალიტეტიდან ამ დროისთვის უკვე 13-მა მუნიციპალიტეტმა აიღო მერების შეთანხმების ახალი ვალდებულებები და დაიწყო 2030 წლამდე პროექტების განსახორციელებლად მოსამზადებელი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 იანვრის №54 დადგენილებით შეიქმნა „კლიმატის ცვლილების საბჭო", სადაც მერების შეთანხმების ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალური განვითარების საკოორდინაციო პლატფორმა" (ე.წ. „მერების კლუბი") წარმოადგენს „კლიმატის ცვლილების საბჭოს" მრჩეველ ორგანოს, რაც კიდევ უფრო ზრდის მერების შეთანხმებაზე ხელმომწერი მუნიციპალიტეტების როლს საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე", გორის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე" და ხელმოწერილ იქნეს წარმოდგენილი შეთანხმება მიერთების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 და მე-17 მუხლების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს დანართი 1-ით (თან ერთვის 9 ფურცლად) წარმოდგენილი „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე".

2. გორის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე" და გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელმოწერილ იქნეს დანართი 2-ით წარმოდგენილი შეთანხმება მიერთების შესახებ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი 1

მერთა შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე

ჩვენ, მერები, ამ შეთანხმების ხელმოწერით, ვიზიარებთ საერთო ხედვას მდგრად მომავალზე, მიუხედავად ჩვენი მუნიციპალიტეტების ზომებისა და მათი ადგილმდებარეობისა მსოფლიო რუკაზე. საერთო ხედვა ხელს გვიწყობს ჩვენი ქმედებები მივმართოთ საჭირო მიმართულებით, ერთმანეთთან კავშირში მყოფ პრობლემათა გადასაწყვეტად: კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილების, ადაპტაციისა და მდგრადი ენერგეტიკის შესაქმნელად. ერთად, ჩვენ მზად ვართ, გადავდგათ კონკრეტული გრძელვადიანი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. ჩვენი საერთო ვალდებულებაა შევქმნათ უფრო მდგრადი, მიმზიდველი, ცხოვრებისათვის ხელსაყრელი, სიცოცხლის უნარიანი და ენერგოეფექტური ტერიტორიები.

ჩვენ, მერები ვაღიარებთ, რომ:

კლიმატის ცვლილებას უკვე აქვს ადგილი და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, ამიტომაც საჭიროა გადაუდებელი ქმედება და თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ნაციონალურ მთავრობებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით;
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - ძირითადი მამოძრავებელი ძალაა გარდამავალი ენერგეტიკის შექმნასა და კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მმართველობის ეს რგოლი მჭიდრო კავშირშია მოქალაქეებთან. სწორედ მოქალაქეები, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებელნი არიან ქმედებებზე კლიმატის დაცვის სფეროში და მათ აქვთ სურვილი იმოქმედონ სხვა მხარეთა მიერ აღებულ ვალდებულებათაგან დამოუკიდებლად. ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოები, ყველა სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში და ნებისმიერ გეოგრაფიულ ზონაში, დგანან ბრძოლის წინა ხაზზე, რათა შეამცირონ და შეაკავონ მათი ტერიტორიების მიმართ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვადასხვა ეფექტი. თუმცა დიდია ძალისხმევა მავნე გამონაბოლქვების შესამცირებლად, ადაპტაცია ჯერ კიდევ საჭირო და აუცილებელი დანამატია კლიმატის ცვლილებით მიღებულ შედეგთა შესარბილებლად;

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებასა და ადაპტაციას შეუძლია მრავალი უპირატესობის მოტანა გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის. ამ პრობლემათა მოგვარება, ადგილებზე მდგრადი განვითარების ხელშემწყობა ახალ პირობებს ქმნის. ესენია: ინკლუზიური, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი და ენერგოეფექტური საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის ფორმირება; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; ინვესტიციებისა და ინოვაციების სტიმულირება; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის განვითარება.

ენერგიასა და კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემათა ადგილობრივი გადაწყვეტა უზრუნველყოფს უსაფრთხო, მდგრად, კონკურენტუნარიანი და ხელმისაწვდომ ენერგიის წარმოებას თითოეული მოქალაქისათვის, შესაბამისად, ამცირებს მათ ენერგო დამოკიდებულებას და იცავს მომხმარებელთა ყველაზე უმწეო ფენებს.

ჩვენ, მერებს, გვაქვს საერთო ხედვა და მიზნები 2050 წლისთვის

- ტერიტორიის დეკარბონიზაცია, რომელიც იძლევა საშუალებას გლობალური დათბობის შეკავებისა 2 გრადუს ცელსიუსს ქვემოთ, წინა სამრეწველო ტემპერატურის მაჩვენებელთან მიმართებაში, რაც შეესაბამება 2015 წლის დეკემბერში, პარიზში, მხარეთა მიერ კონფერენციაზე მიღებულ საერთაშორისო კლიმატურ შეთანხმებებს.
- უფრო მდგრადი ტერიტორიების შექმნა, რომელიც მზადაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გარდაუვალი უარყოფითი ზემოქმედებისათვის;
- საყოველთაო დაშვება უსაფრთხო, მდგრადი და ხელმისაწვდომში ენერგეტიკული მომსახურებისადმი, რომელიც საშუალებას იძლევა ცხოვრების დონისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ამაღლებისა.

ჩვენ, მერები, ვალდებულებას ვიღებთ ხელი შევუწყოთ ჩვენი ხედვის შემდეგი გზით:

- ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებით (ასევე, შესაძლებისდაგვარად, სხვა სასათბურე აირებისა) ჩვენს ტერიტორიაზე, მინიმუმ 30%-ით 2030 წლამდე ენერგოეფექტურობის გაზრდითა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით;

- სიცოცხლისუნარიანობის გაზრდით კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პირობებისადმი ადაპტირების გზით;
- ჩვენი ხედვის, შედეგების, გამოცდილების და ნოუ-ჰაუს გაზიარებითა და გაცვლით, სხვა ადგილობრივ და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებთან ევროკავშირის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ, პირდაპირი თანამშრომლობითა და თანაბარი ურთიერთქმედების გზით, მერების გლობალური შეთანხმების ფარგლებში.

ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა ქმედებაში გადაზრდის მიზნით, ვიღებთ პასუხისმგებლობას, დანართი I წარმოდგენილ საგზაო რუკის ეტაპობრივ განხორციელებაში, მათ შორის ენერგეტიკის განვითარებისა და კლიმატის მდგრადობის მიღწევის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და მის რეგულარულ მონიტორინგში.

ჩვენ, მერები, ვცდილობთ რომ ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებანი მოიცავდეს:

- ძლიერ პოლიტიკურ ლიდერობას;
- ისეთი ამბიციური გრძელვადიანი მიზნების დასახვას, რომელნიც პოლიტიკურ უფლებამოსილების ჩარჩოებს სცილდებიან;
- კოორდინირებულ (ურთიერთ)ქმედებას კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებათა ფარგლებში, ამ პრობლემათა მოგვარებასთან კავშირში მყოფ ყველა მუნიციპალურ სამსახურთა მობილიზების გზით;
- დარგთამორისო და მთლიან ტერიტორიულ მიდგომას;
- შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფას;
- ყველა დაინტერესებული მხარის მოზიდვას ჩვენს ტერიტორიებზე;
- მოქალაქეებზე, როგორც ენერგეტიკის ძირითად მომხმარებლებზე, "პროფესიული დონის მომხმარებლებზე" და ენერგეტიკული სისტემის მონაწილეებზე, რომელნიც რეაგირებენ მოთხოვნაზე, უფლებამოსილების მინიჭებას;
- დაუყოვნებლივ ქმედებებს, კერძოდ, მომგებიან და მოქნილ ღონისძიებებს;
- ენერგეტიკულ ცვლილებათა გარდამავალ პერიოდში, ტექნიკური და სოციალურ პრობლემათა საზრიან გადაწყვეტათა დანერგვას;
- მონიტორინგისა და შეფასების მონაცემთა ანალიზის შედეგად, ქმედებათა პერიოდულად კორექციას;
- კომბინირებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ თანამშრომლობას (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მმართველობის ყველა დონის სტრუქტურებს შორის).

ჩვენ, მერები, მივესალმებით:

- ევროკომისიის ინიციატივას ორი კომპონენტის - კლიმატის ცვლილებათა ზეგავლენის შერბილებისა და ადაპტაციის - ერთ საერთო ინიციატივად შერწყმას და სინერგიის შემდგომ გაძლიერებას სხვა შესაბამის სტრატეგიათა და ევროკავშირის სხვა ინიციატივებს შორის;
- ევროკომისიის მხარდაჭერას მერების შეთანხმების ახალი მოდელის დანარჩენ მსოფლიოში გავრცელების საქმეში, მერების გლობალური შეთანხმების მეშვეობით;
- მერების შეთანხმებისა და მათი მიზნების მხარდაჭერას რეგიონალური კომიტეტის მიერ, როგორც ინსტიტუციური ხმისა ევროკავშირის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისა;
- ადგილობრივ მმართველ ორგანოთა დახმარებას, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერბილებისა და ადაპტაციის საქმეში აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში, მონაწილე სახელმწიფოთა, რეგიონების, პროვინციების, ქალაქების და სხვა ინსტიტუციური სტრუქტურების მიერ.

ჩვენ, მერები, ვიწვევთ:

- სხვა ადგილობრივ მმართველ ორგანოებს:

- შემოგვიერთდით მერების შეთანხმების საზოგადოებაში;

- ცოდნის გაზიარებისა და მერების შეთანხმების პოტენციალის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად;

  - რეგიონალურ / ქვე-რეგიონალურ ხელისუფლებას:

- სტრატეგიული, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერისათვის, ჩვენი(მათი) განვითარების გეგმის(ების) შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის საქმეში შესაბამისი ნაბიჯების გადასადგმელად;

- ეფექტურობისა და ინტეგრაციის საქმეში თანამშრომლობისა და საერთო მიდგომის გაუმჯობესების ხელშეწყობაში:

  - ეროვნულ მთავრობებს:

- რომელთაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, კლიმატის ცვლილების პრობლემათა გადაჭრაში და უზრუნველყონ შესაბამისი პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა ჩვენი ადგილობრივი სტრატეგიის მომზადებასა და განხორციელებაში, კლიმატის ცვლილების შედეგთა შესარბილებლად და ადაპტაციისათვის;

- რათა ჩაერთოთ კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის ეროვნული სტრატეგიების მომზადებასა და განხორციელებაში;

- რათა უზრუნველყოთ დაფინანსების საჭირო მექანიზმები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და ენერგეტიკის სფეროში;

- აღიაროთ ჩვენი ძალისხმევა და გავლენა ადგილებზე, გაითვალისწინოთ ჩვენი საჭიროებები და ასახოთ ჩვენი შეხედულებები ევროპულ და საერთაშორისო კლიმატურ პროცესებში.

  - ევროპულ დაწესებულებებს:

- პოლიტიკური ძალისხმევის კონსოლიდაციისათვის ადგილობრივი კლიმატური და ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელების მხარდასაჭერად და ქალაქებს შორის თანამშრომლობის დასამყარებლად;

- შესაბამისი საოპერაციო და ტექნიკური დახმარების მიწოდებისა და სტიმულირების მხარდასაჭერად;

- რათა ხელი შეუწყოთ ჩვენი ჩართვით მერების შეთანხმების შესაბამის სტრატეგიებში, დახმარების პროგრამებში და ევროკავშირის ქმედებებში ინტეგრაციას, მათ მომზადებასა და განხორციელებას;

- გააგრძელოთ შესაძლო დაფინანსების წყაროებისა და დახმარების მიზნობრივ საშუალებათა შემოთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ვალდებულებათა რეალიზაციას, ასევე განვითარების პროექტის სატენდერო წარდგენასა და საინვესტიციო პროგრამების დანერგვას;

- აღიაროთ ჩვენი როლი და ძალისხმევა კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებასა და ადაპტაციაში, ასევე მიაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენს წარმატებებზე.

  - სხვა დაინტერესებულ მხარეებს[1]:

- მოახდინოთ გამოცდილების, ტექნოლოგიათა და ფინანსური რესურსების მობილიზება და გაზიარება, რომელიც შეავსებს და აძლიერებს ჩვენს ძალისხმევას ადგილებზე, ასევე ხელი შეუწყოთ ინოვაციათა და ინვესტიციათა მოზიდვას, შესაძლებლობათა გაფართოებას;

- გახდნეთ აქტიური მოთამაშენი გარდამავალ ენერგეტიკულ პერიოდში, დაგვეხმაროთ და მხარი დაგვიჭიროთ, საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის გზით.

---

[1]მაგალითად კერძო სექტორი, ფინანსური ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოება და მეცნიერული წრეები.

დანართი I

მერთა შეთანხმების პროცედურული ნაბიჯები და სახელმძღვანელო პრინციპები

მერთა საგზაო რუკა ზოგადი ხედვის ფორმირებისათვის:

კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნით, მერთა შეთანხმების ხელმომწერნი ვალდებულებას იღებენ განახორციელონ შემდეგი ნაბიჯები:

ნაბიჯი/ ეტაპი	შერბილება	ადაპტაცია
1) ინიციირება და თავდაპირველი ხედვა	გამონაბოლქვის საბაზო კადასტრის მომზადება	კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასების მომზადება, მოწყვლადობა
2) სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და დაგეგმარება	მიწოდება სამოქმედო გეგმა მდგრადი ენერგეტიკული განვითარებისა და კლიმატი-ის შესახებ და ფართო დანერგვა იდეისა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის შესახებ* შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებში, სტრატეგიებში და გეგმებში ორი წლის განმავლობაში მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ შეუერთდეს მერთა შეთანხმებას.	
3) რეალიზაცია, მონიტორინგი და ანგარიშგება	ანგარიშის წარდგენა განხორციელებულ ქმედებებზე, ყოველ ორ წელიწადში სამოქმედო გეგმის მიწოდების შემდგომ, ინიციატივის პლატფორმაზე.	

** ადაპტაციის სტრატეგია უნდა იყოს ნაწილი PDUERK დან დამუშავებული და აღრიცხული ცალკე დოკუმენტში. ხელმომწერ-სახელმწიფოს შეგიძლიათ საკუთარი ფორმატი არჩევა - ნახეთ პუნქტი "ადაპტაციის გეზი" ქვემოთ .*

1-2 წლის განმავლობაში საფუძველი ჩაეყრება განვითარების გეგმას, რომელიც ორიენტირებულია მდგომარეობის შეფასებისკენ (ძირითადი წყაროები გამონაბოლქვისა და შემცირების პოტენციალი, მთავარი კლიმატური რისკები და მოწყვლადობა, ასევე მიმდინარე / სამომავლო მათთან ასოცირებული გამოწვევები), პრიორიტეტების განსაზღვრა კლიმატის ცვლილების შემარბილებისა და ადაპტაციისთვის, ასევე სწრაფი და თვალსაჩინო შედეგი, საზოგადოების მონაწილეობისა ამ პროცესებში და მობილიზაცია საკმარისი რესურსებისა და უნარის, საჭირო ნაბიჯების განსახორციელებლად. მომდევნო წლებში აქცენტი იქნება გაკეთებული მოქმედებებზე და პროექტებზე, რომელიც დაეხმარებს ცვლილებებს ამ სფეროში.



გზა შერბილებისკენკლიმატის ცვლილების შედეგთა

ადაპტაციის მოქნილ გეზი

მერების შეთანხმება გთავაზობთ საფუძველს მოქმედებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას განახორციელოს საკუთარი გეგმები კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციისათვის, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხელმომწერებს ეძლევათ საკმარისი მოქნილობა აირჩიონ მოქმედების ოპტიმალური გზები თავისი გეგმების განხორციელებისათვის ადგილებზე. იმ შემთხვევაშიც კი, როცა განსხვავებულია პრიორიტეტები, მიზანშეწონილია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენოს ინტეგრირებული და კომპლექსური მიდგომა.

– შერბილების გეზი

შერბილების გზა უზრუნველყოფს ხელმომწერთა ერთგვარ მოქნილობას, კერძოდ, სასათბურე აირების გამოყოფის კადასტრისა (როგორიცაა საბაზო წელი, ძირითად სექტორების არჩევა, გათვლებისთვის გამოყენებადი გამონაბოლქვის კოეფიციენტი, გამონაბოლქვის ერთეული- გამოიყენება ანგარიშგებისას და ა.შ.).

– გეზი ადაპტაციისკენ

ადაპტაციის გეზი საკმაოდ მოქნილი რჩება ახალი ცოდნისა და შედეგების ინტეგრირებისათვის, ასევე პირობათა ცვლილებებისა და ხელმომწერთა შესაძლებლობათა ასახვისათვის. კლიმატური რისკების და მოწყვლადობის შეფასება უნდა შესრულდეს შეთანხმებული ორი წლის ვადაში. შედეგები საფუძველს მოგვცემს დადგინდეს, თუ როგორ გახდეს ტერიტორია უფრო მდგრადი. ადაპტაციის სტრატეგია, რომელიც უნდა იყოს ინტეგრირებული - მდგრადი ენერგეტიკის განვითარება და კლიმატი - სამოქმედო გეგმაში და სხვა დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში, დროთა განმავლობაში, შეიძლება გაუმჯობესდეს და კორექტირება განიცადოს. პირველ რიგში, შეიძლება განხილულ იქნეს ყველაზე მომგებიანი ქმედებები, და შემდეგ სხვა ქმედებები (მაგალითად, ყოველ ორ წელიწადში სიტუაციის განხილვისას, სამოქმედო გეგმის გადახედვის დროს) - ეს კი საჭირო მომენტში და უფრო მცირე დანახარჯებით ადაპტაციის შესაძლებლობას იძლევა.

დამაჯერებლად გაძლვირვალე მოძრაობა:

- *პოლიტიკური დადასტურება:* ვალდებულება, სამოქმედო გეგმა მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისა და კლიმატის შესახებ და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რატიფიცირებულია მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებით. ეს ქმნის შესაძლებლობებს საიმედო, გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერისა.

- *ზუსტი, თანმიმდევრული და შეთანხმებული საფუძველი მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგებისა:* პრაქტიკოს მუნიციპალიტეტების, რეგიონების, ქალაქურ გაერთიანებათა გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეთანხმების

მეთოდოლოგია ეფუძნება ევროკომისიასთან ერთობლივად შემუშავებულ ფართო ტექნიკურ და სამეცნიერო ბაზას. გამომუშავებულია საერთო მეთოდოლოგიური პრინციპები და ანგარიშგების ნიმუშები, რომელიც საშუალებას აძლევს ხელმომწერებს სტრუქტურირებულად და სისტემატურად მოახდინონ შედეგთა მონიტორინგი და საჯაროდ გააქვეყნონ ინფორმაცია მიღწეულ წარმატებებზე.

- სამოქმედო გეგმა მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისა და კლიმატის შესახებ საჯაროა, ხელმისაწვდომია განსახილველად ონ-ლაინ პროფილში (გვერდი) ხელმომწერისა და ვებ-გვერდზე მერების შეთანხმებისა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და შესაბამისობას ხელმომწერთა ქმედებისა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

- *აღიარება და ვიზუალიზაცია გაწეული ძალისხმევისა:* ხელმომწერთა ინდივიდუალური და კოლექტიური რეზულტატები, მოპოვებული ანგარიშგების ანალიზის წყალობით, შეთანხმების ვებ-გვერდზე ქვეყნდება ინფორმაციის გაცვლისა და თვითშეფასების, მოტივაციის ასამაღლებლად. ანგარიშგების მონაცემთა ანალიზი, მიღებული მერების შეთანხმების წყალობით, საშუალებას იძლევა ხელმომწერთა ქმედებების ფართო გავლენის დემონსტრირებისა ადგილებზე. შეთანხმების საფუძველზე მოპოვებული ანგარიშგების მონაცემები, ასევე უზრუნველყოფენ საჭირო კომუნიკაციას ადგილზე ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან.

- *ხელმომწერთა მიერ მიწოდებულ მონაცემთა შეფასება:* ხარისხის ასეთი კონტროლი უზრუნველყოფს საიმედოობას და მერების შეთანხმების ყველა ინიციატივათა საფუძვლიანობას.

- *მონაწილეობის შეჩერება შეუსრულებლობის შემთხვევაში:* ხელმომწერები თანხმდებიან, რომ გარიცხულ იქნებიან ინიციატივაში მონაწილეობისგან - მერების შეთანხმების ოფისიდან წინასწარი წერილობითი გაფრთხილებით - თუ აღნიშნული დოკუმენტები (ანუ, მდგრადი ენერგეტიკის განვითარების და კლიმატის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები განხორციელების შესახებ) არ იქნება წარდგენილი და დგენილ ვადებში. ასეთი პროცედურა უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას სხვა ხელმომწერთა მიმართ, რომელნიც პირნათლად ასრულებენ თავისვალ დებულებებს.

დანართი II

საბაზო ინფორმაცია და კონტექსტი

მერების შეთანხმების ხელმომწერები იღებენ რა ვალდებულებას ამ ინიციატივის წინაშე, სრულად აქვთ შეგნებული შემდეგი ასპექტები:

- მთავრობათა შორისო ექსპერტთა ჯგუფმა კლიმატის ცვლილების შესახებ (IPCC), კიდევ ერთხელ დაადასტურა, შეფასების მეხუთე ანგარიშში, რომ კლიმატის ცვლილება - ეს არის რეალობა და ადამიანის საქმიანობა აგრძელებს ზემოქმედებას დედამიწის კლიმატზე;

- IPCC მონაცემებით, კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილება და ადაპტაცია - ეს არის ურთიერთშემვსები მიდგომა, მიმართულიდროის სხვადასხვა მონაკვეთში კლიმატის ცვლილების ეფექტით გამოწვეული რისკების შემცირებისკენ.

- ეროვნული მთავრობები შეთანხმდნენ გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC) ფარგლებში, კოლექტიურ მიზანში - შეინარჩუნონ გლობალური დათბობის საშუალო დონე 2°C ქვემოთ, წინა ინდუსტრიულ დონესთან შედარებით;

- გაეროს კონფერენცია Rio + 20 კონტექსტში, ეროვნული მთავრობები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების მიზანთა (SDG) კომპლექსში; რომელიც მოითხოვს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან SDG7 "ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიით ყველას უზრუნველყოფას" SDG11 "რათა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი პირობები მისაღები, ინკლუზიური, მდგრადი და სანდო გახდეს" და SDG13 - "მიღებულ იქნას გადაუდებელი ზომები კლიმატის ცვლილებასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ";

- ინიციატივა "მდგრადი ენერგია ყველასათვის" შემუშავებული გაეროს გენერალური მდივნის მიერ 2011 წელს, ორიენტირებულია 2030 წლამდე შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული მიზნის მისაღწევად: "თანამედროვე ენერგეტიკული მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობის", "ენერგოეფექტურობის ტემპების ზრდის გაორმაგებისა" და "განახლებადი ენერგიის წყაროთა წილის გაორმაგების მისაღწევად გლობალურ ენერგეტიკულ ბალანსში";

- ევროკომისიამ (EC) 2008 წელს ოფიციალურად დაიწყო დანერგვა მერების შეთანხმებისა და 2014 წელს კი - ადაპტაციის ინიციატივის განხორციელება, როგორც ძირითადი სამოქმედო გეგმისა ევროკავშირის სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის (EC,2013) ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ქმედებების მხარდაჭერის მიზნით, რომლებიც მიმართულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციისკენ.

- ევროკავშირის მერების შეთანხმება რეალიზაციის დაწყებისთანავე აღიარებულ იქნა ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტად, რაც ხაზგასმით აღინიშნა ევროკავშირის სტრატეგია (EU, 2015) და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიაში (EU 2014), რომელიც მიზნად ისახავს ენერგეტიკული გადასვლის დაჩქარებას და ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერებას;

- 2014 წლის ოქტომბერში ევროკავშირმა მიიღო კლიმატისა და ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი საფუძვლები 2030წ-მდე, ახალი მიზნები (კერძოდ, კი შიდა შემცირება სასათბურე აირების გამონაბოლქვისა მინიმუმ 40%-ით, მინიმუმ 27% ენერგომოხმარება განახლებადი წყაროების ენერგიისა ევროკავშირში, მინიმუმ 27% ენერგიის დაზოგვა);

- ევროკომისიამ 2011წ მიიღო "2050 წლამდე კონკურენტული [illegible] დაბალნახშირბადულ ეკონომიკაზე გადასვლის საგზაო რუკა", რომელიც მიზნად ისახავს სასათბურე აირების გამონაბოლქვის შემცირებას ევროკავშირში 80-95%-ით 2050 წლისთვის 1990 წელთან შედარებით. ამ ინიციატივას მიესალმა ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო;

- ევროკავშირის რეგიონების კომიტეტი ხაზს უსვამს ვალდებულებას შემდგომშიც მხარი დაუჭიროს მერების შეთანხმებას, მაგალითად, მიზანმიმართული პლატფორმის შექმნით რეგიონულ კომიტეტის ფარგლებში და სხვა მექანიზმებით, ეს მოსაზრება გაცხადებულია შეთანხმების მომავალზე დასკვნით მსჯელობაში (enve-VI-006).

დანართი III

განმარტებითი ლექსიკონი

- **ადაპტაცია:** ქმედებები, კლიმატის ცვლილებათა უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან მათ მიერ მიყენებული ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად და მათ მიერ შექმნილ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად.

- **კლიმატის ცვლილება:** დროთა განმავლობაში კლიმატის ნებისმიერი ცვლილება, ბუნებაში მომხდარ ცვლილებათა გამო, ან ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების შედეგად.

- **გამონაბოლქვთა კადასტრი:** რაოდენობრივი გაანგარიშება სასათბურე აირებისა (CO_2 და CO_2ექვივალენტი), რომელიც გამოიყოფა ენერგომოხმარებისას შეთანხმების ხელმომწერთა ტერიტორიაზე, კონკრეტულ წელიწადში. კადასტრი იძლევა საშუალებას განისაზღვროს გამონაბოლქვის გამოყოფის ძირითადი წყარო და შესაბამისად მისი შემცირების პოტენციალი.

- **შესრულების ანგარიში (მონიტორინგის ანგარიში):** დოკუმენტი, რომელიც შეთანხმების ხელმომწერები ვალდებულნი არიან წარადგინონ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, რომელშიც მითითებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შედეგები. მოცემული ანგარიშის მიზანია, ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგის უზრუნველყოფა, დაგეგმილი მიზნების მისაღწევად.

- **არაწამგებიანი ვარიანტები (ადაპტაციის):** ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს უშუალო (დაუყოვნებლივ) ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელს. მათი გადადგმა ღირს კლიმატის ცვლილების ყველა პროგნოზირებადი სცენარისას.

- **პროფესიული დონის მომხმარებელი:** აქტიური მომხმარებლები, მომხმარებლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არამარტო საკუთრივ მოხმარებულ ენერგიაზე, არამედ იღებენ პასუხისმგებლობას მის წარმოებაზეც.

- **სიცოცხლისუნარიანობა:** სოციალური და ეკოლოგიური სისტემების უნარი აღიქვას დარღვევები, ფუნქციონირების ყოფილ, ძირითად, საბაზო საშუალებათა და სტრესისადმი და (კლიმატურ)ცვლილებებისადმი ადაპტირების უნარის შენარჩუნებით.

- **რისკების შეფასება და მოწყვლადობა:** ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს რისკის ბუნებასა და მასშტაბს, პოტენციური საფრთხეების ანალიზითა დამოწყვლადობის შეფასებით, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს პოტენციური საფრთხეს ან ზიანი მიაყენოს ადამიანს, ქონებას, ზეგავლენა მოახდინოს საარსებო გარემოზე, ან გარემოზე, რომელზეც დამოკიდებულია - იგი საშუალებას იძლევა, დადგინდეს ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო და, შესაბამისად, იგი აწვდის ინფორმაციას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ასეთი შეფასება შეიძლება ორიენტირებული იყოს რისკებზე როგორიცაა წყალდიდობა, ექსტრემალური ამინდი და სიცხე, გვალვა და წყლის დეფიციტი , ქარბუქი და სხვა ექსტრემალური ამინდის მოვლენები, ტყის ხანძართა რაოდენობის გაზრდა, ზღვის დონის მატება და სანაპირო ეროზია (თუ არის ასეთი შემთხვევები).

- **რისკი:** ალბათობა უარყოფითი შედეგებისა ან დანაკარგისა, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით (მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საარსებო პირობების, აქტივებისა და მომსახურების), რომელიც შეიძლება მოხდეს კონკრეტული საზოგადოებაში ან დასახლებაში, რომლებიც იმყოფებიან არასტაბილური პირობებში კონკრეტული ვადის განმავლობაში მომავალში.

- **სამოქმედო გეგმა მდგრადი ენერგეტიკის განვითარება და კლიმატი(სგმეგკ):** ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც შეთანხმების ხელმომწერი ასახავს, თუ როგორ აპირებს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. მასში მოცემულია ნაბიჯები, მიმართულება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების მისაღწევად. ისევე, მითითებული დროის ფარგლები და დანაწილებულია მოვალეობები.

- **მოწყვლადობა:** ხარისხი იმისა, თუ რამდენად მგრძნობიარეა სისტემა და არშეუძლიაწინააღმდეგობა კლიმატის ცვლილების ნეგატიურ ზემოქმედებაზე, მათ შორის კლიმატის ცვალებადობაზე და ექსტრემლურ პირობებზე (სიცოცხლისუნარიანობის საპირისპიროდ).

დანართი 2

მერების შეთანხმებასთან მიერთების ფორმა

მე, გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თარიღი) # XXX გადაწყვეტილების საფუძველზე, ვალდებულებათა ოფიციალური დოკუმენტის მოთხოვნების (მოკლე შინაარსი მოცემულია ქვემოთ) სრული გაცნობიერებით უფლებამოსილი ვარ ხელი მოვაწერო მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის მიერთების ფორმას.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ რწმუნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულებას იღებს:

- 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO_2-ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით;
- კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

ამ ვალდებულებების შესასრულებლად, ადგილობრივი თვითმართველობა თანმიმდევრულად განახორციელებს შემდეგს:

- მოამზადებს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და შეაფასებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებისა და მოწყვლადობას;
- საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის ვადაში წარადგენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების ღონისძიებებს ასახავს შესაბამის ადგილობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებში თუ გეგმებში;
- მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან ყოველ ორ წელიწადში, პროცესის მიმდინარეობის შეფასების, ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით წარადგენს შუალედურ ანგარიშს;
- გაუზიარებს ხედვას, მიღწევებს, ცოდნასა და გამოცდილებას ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების სხვა ორგანოების წარმომადგენლებს, ევროკავშირისა თუ მის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის გაცვლისა და პირდაპირი თანამშრომლობის გზით.

ვაცნობიერებ, რომ ჩვენს ადგილობრივ თვითთმართველობას შეიძლება შეუჩერდეს ინიციატივის წევრობა (მერების შეთანხმება აღმოსავლეთით ოფისის წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ) - ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების (მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, შუალედური ანგარიშები) წარდგენის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში.

[ადგილობრივ ხელისუფლების დასახელება და სრული მისამართი]

[საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ელ. ფოსტა და ტელეფონი]

[ხელმოწერა]